დანევი ბულგარეთის წინააღმდეგ

DANEV V BULGARIA

საჩივარი N 9411/05

გადაწყვეტილება

2 სექტემბერი 2010

საქმეში მომჩივანს იმ მიზეზით ეთქვა უკანონო პატიმრობისთვის კომპენსაციაზე უარი, რომ მან ვერ დაამტკიცა მორალური ზიანის ფაქტი. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა მომჩივანს მოთხოვეს, პატიმრობაში ყოფნისას მორალური ზიანი დაემტკიცებინა ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის დამადასტურებელი გარეგნული ნიშნების წარმოდგენით. ამგვარი ფორმალისტური მიდგომა ნიშნავდა, რომ კომპენსაციის მიღება შეუძლებელი იყო როდესაც უკანონო პატიმრობა იყო მცირეხნიანი და აშკარად გამოხატული არ იყო პატიმრის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.

წინამდებარე საქმეში, 1997 წელს მომჩივანი ბრალდებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ფლობისთვის. მას შეეფარდა პატიმრობა. მომდევნო კვირებში, იგი გაათავისუფლეს არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე, ხოლო საქმისწარმოება შეწყდა. მომჩივანმა სარჩელი აღძრა პროკურატურისა და საგამოძიებო სამსახურის წინააღმდეგ, რომლითაც იგი ითხოვდა კომპენსაციას მისი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანისათვის. მომჩივანი დავობდა, რომ პატიმრობა იყო უკანონო, ხოლო იზოლირებულ საკანში მოთავსებით და არსებული ცუდი პირობების გათვალისწინებით მან განიცადა შფოთვა. რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია, ხოლო მომჩივანმა იგი არ მიიჩნია საკმარისად და მისი ოდენობა გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ მომჩივნის დაკავება იყო უკანონო, თუმცა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე, რადგან მან ვერ დაამტკიცა, რომ მიადგა რაიმე მორალური ზიანი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის პატიმრობა იყო უკანონო და დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (c) პარაგრაფი, მას არ მიუღია რაიმე კომპენსაცია, რადგან ვერ

შეძლო დაემტკიცებინა, რომ მიადგა მორალური ზიანი. როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მორალური ზიანი გარეგნულად აღქმადი უნდა იყოს და რომ უკანონო დაკავების საზიანო გავლება დასრულდა მომჩივნის გათავისუფლებისთანავე. ამ ორი პრინციპის კუმულაციური გამოყენების საფუძველზე მომჩივანს დაეკისრა ვალდებულება წარმოედგინა მტკიცებულებები გარეგნული მახასიათებლების სახით, რომელიც წარმოშობილნი იქნებოდნენ მისი დაკავების პერიოდში. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოწმის განცხადებები, რომლებიც ადასტურებდნენ იმ სიძნელეებს რომლებიც თავს გადახდა მომჩივანს, რადგან ისინი ეხებოდა მომჩივნის მდგომარეობას გათავისუფლების შემგედ და არ დასტურდებოდა რაიმე სხვა მტკიცებულებით. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის ფქიქოლოგიურ კეთილგანწყობაზე ამგვარი გავლენა შესაძლოა გაგრძელდეს მისი გათავისუფლების შემდეგაც. უფრო მეტიც, იმის დადგენისას მიადგა თუ არა მომჩივანს მორალური ზიანი, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დადგინდა მომჩივნის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების დარღვევა და არც მისი არგუმენტი დაკავების პერიოდში არამყარი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ფორმალური მიდგომის მიხედვით, როდესაც უკანონო დაკავების პერიოდი მცირეა და არ გამოუწვევია ცხადად აღქმადი დაზიანება დაკავებულის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ნაკლებად სავარაუდოა რომ ასეთ შემთხვევებზე პირს მიენიჭოს კომპენსაცია. საბოლოოდ, მომჩივანს არ გააჩნდა რაიმე სხვა საშუალება კომპენსაციის მისაღებად.

მოცემულ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა მორალური ზიანისთვის მომჩივნისთვის კომპენსაციის სახით 1.000 ევროს გადახდა.